საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

23 დეკემბერი 2014 წ. ქ. ბათუმი

ბრძანება №01-08/62

„რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) სარეზიდენტო პროგრამებზე (,,თერაპიული სტომატოლოგია“) მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის (№02/11273, 11.02.2014წ.) წერილის, სარეზიდენტო პროგრამების ხელმძღვანელის ვ. ჩანტლაძის 2014 წლის22 დეკემბრის №64-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების(პროფესიულ მზადების) პროგრამებზე („თერაპიული სტომატოლოგია“), მიღების მიზნით გამოცხადდეს მისაღები კონკურსი.
2. კონკურსანტთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ–ს კანცელარიაში 2014 წლის 23 დეკემბრიდან 29 დეკემბრის ჩათლით, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, შაბათ–კვირის გარდა.
3. პროგრამებზე ჩარიცხვა განხორციელდეს შესაბამის სპეციალობაზე მისაღებ პირთა დადგენილი ოდენობის (კვოტის) ფარგლებში„ თერაპიული სტომატოლოგია“ (კვოტა - 1).

4. თუკი, სარეზიდენტო პროგრამის მაძიებელთა ოდენობა აღემატება კვოტით დადგენილ ოდენობას:

ა) უპირატესობა მიენიჭოს რეზიდენტურის ალტერნატიული პროგრამის მაძიებლებს; ჩაირიცხება ის პირი, რომელსაც ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება. თანაბარი შეფასების შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად;

ბ)დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლების ექიმთა გადამზადების პროგრამებზე კონკურსის შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.

5. სპეციალობის მაძიებლის ჩარიცხვის ბრძანება გამოცემული იქნეს კონსკურსის შედეგების შესახებ სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

7. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. #52).

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე ირაკლი ბარამიძე